შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია
ადმინისტრაციის პერსონალის კმაყოფილების კვლევის კითხვარი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიაში 2023 სასწავლო წლის 26 სექტემბერს ჩატარდა ადმინისტრაციის პერსონალის გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო გამოკითხულთა აზრის შესწავლა კოლეჯის მართვის პროცესების შესახებ, აგრეთვე კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალისგან მათი საქმიანობის და კოლეჯში მიმდინარე პროცესების ხარისხის განვითარებისთვის უკუკავშირის თაობაზე.

გამოკითხვის მიზანი, საბოლოო ჯამში, მდგომარეობდა კვლევის შედეგების საფუძველზე დაწესებულების განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირება და მათი რეალიზების მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდართებთან შესაბამისად კოლეჯის მენეჯმენტის სრულყოფა.

კითხვარი შედგება 27 დახურული კითხვისგან. კითხვარის ბოლოს კვლევაში მონაწილეებს შესაძლებლობა ეძლეოდათ ღიად შემოეთავზებინათ წინადადებები კოლეჯის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

კვლევის კონფიდენციალურობა საფუძველს ქმნიდა მასში მონაწილეთა გულწრფელობისთვის და შესაძლებლობას აძლევდა მათ ობიექტურად და მიუკერძოებლად გამოეთქვათ საკუთარი აზრი საკვლევი პრობლემატიკის ფარგლებში.

გამოკითხვა ჩატარდა ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად და მასში მონაწილეობა მიიღო შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის ადმინისტრაციის პერსონალმა. კვლევის შედეგების გათვალისწინება მნიშვნელოვანია კოლეჯის ადმინისტრაციისთვის მართვის პროცესების სრულყოფის თვალსაზრისით.

კვლევის იმ ნაწილის შედეგებიდან, რომელიც ეხება დაწესებულების მისიასა და მის ღირებულებებს, ირკვევა, რომ ადმინისტრაციის პერსონალის გამოკითხული გამოკითხული ნაწილის 100 ვე % კარგად იცნობს დაწესებულების მისიას, მის ხედვასა და ღირებულებებს, და 10-ივე გამოკითხული თვლის, რომ კოლეჯის საქმიანობა სავსებით პასუხობს მის მიერ გამოცხადებულ მისიას. ამასთან, კვლევაში მონაწილეები კოლეჯის მისიის, ხედვისა და ღირებულების შესახებ ინფორმაციის მიღების სხვადსხვა წყაროზე მიუთითებენ, კერძოდ, 60 % - მა ინფორმაცია მიიღო ღია კარის დღეებიდან და სხვა გაფართოებული ღონისძიებებიდან, 3 (30%) - კოლეჯის ვებგვერდიდან, ხოლო 10 - მა % ინფორმაცია მიიღო მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის გზით.

კვლევაში მონაწილე პერსონალის უმრავლესობა აფიქსირებს, რომ აქტიურად (70 %), ან მეტნაკლებად (30 %) იყო ჩართული კოლეჯის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაში. ასეთივე პროპორციით გამიკითხულები ჩართულნი იყვნენ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა ან/და შეფასების პროცესში.

გამოკითხულთა ასევე აბსოლუტური უმრავლესობა (90 %) აფიქსირებს, რომ გაცნობილია კოლეჯის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგებს, და რომ ინფორმაცია ამის შესაებ მიიღო დოკუმენტის საჯარო განხილვის ფარგლებში (60 %) ან დაწესებულების ვებგვერდის საშუალებით (40 %).

ადმინისტრაციის გამოკითხულმა პერსონალმა ერთხმად დაადასტურა, რომ იცნობს სამუშაო პოზიციის თანამდებობრივ ინსტრუქციას და ასრულებს ინსტრუქციაში გაწერილ მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს. ყველა გამოკითხული ასევე სრულად ეთანხმება კითხვარის დებულებას, რომ კოლეჯის სტრუქტურული ერთეულები ეფექტურად და კოორდინირებულად ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს, ხოლო კოლეჯის ხელმძღვანელობის მხრიდან რეაგირება თანამშრომლების ინიციატივებზე ხდება მყისიერად.

თუკი კოლეჯის ძლიერ მხარედ ადამიანური რესურსის (ადმინისტრაციული) და პროგრამების განმახორციელებელი პირების დასახელებისას გამოკითხულნი ერთსულოვანნი იყვნენ, ასეთად მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აღიარა 90 % - მა, ანაზღაურების სისტემა - 80 % - მა, ხოლო წახალისების სიტემა - 40 % -მა. ამასთან, კვლევაში მონაწილეები ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ კოლეჯს აქვს პერსონალის წახალისების სამართლიანი და გამჭვირვალე მიდგომა. ანაზღაურებით კმაყოფილია გამოკითხულთა 90 %, მეტნაკლებად კი -10 %.

კვლევაში მონაწილე ადმინისტრაციის პერსონალი, ერთსულოვანია იმაშიც, რომ კოლეჯი ზრუნავს მათ პროფესიულ ზრდაზე, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ კითხვარის დებულების -

„ვმონაწილეობ თანამშრომელთა მუშაობის ეფექტიანობის გაზრდისათვის ორგანიზებულ სხვადასხვა ტრენინგებში“ პასუხად 10-ივე გამოკითხულის მიერ შემოხაზულია სავარაუდო ვარიანტი „სრულიად ვეთანხმები“. თუმცა, გამოკითხულების აზრით, სამსახურეობრივი საქმინობის უკეთ წარმართვისთვის საჭიროა დამატებით ტრეინინგების ჩატარება.

კითხვარის ბოლოს 10 - ივე გამოკითხული ადასტურებს, რომ იცნობს კოლეჯში დადგენილ უსაფრთხოების წესებს, დადებით შეფასებას აძლევს სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას და „სრულიად ეთანხმებიან“ კითხვარის დებულებას: „სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია პირველადი დახმარებისათვის ყველა საჭირო რესურსით და მედიკამენტით“.

ასევე ყველა კვლევაში მონაწილე ადასტურებს დაწესებულებაში დაცვის სამსახურის არსებობას, რომლის თანამშრომლები ეფექტურად უზრუნველყოფენ შენობაში და შენობის გარე პერიმეტრზე წესრიგის და უსაფრთხოების დაცვას.

კითხვარის ბოლოს კვლევის მონაწიილეებს შესაძლებლობა ეძლეოდათ თავიანთი წინადადებები შემოეთავაზებინათ კოლეჯის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. როგორც ადმინისტრაციის თანამშრობლების წინადადებებიდან ირკვევა, მათი აზრით, სასურველია ტრენინგებისა და კურსების ორგანიზება კომპიუტერული და ინფორმაციული ტექნოლოგიების უარ-ჩვევების გაძლიერების მიზნით.

დასკვნის სახით,შეიძლება ითქვას, რომ კოლეჯის ადმინისტრაციის პერსონალი მთლიანობაში დადებითად აფასებს კოლეჯის მენეჯმენტს, რომელიც ორიენტირებულია კოლეჯში მიმდინარე პროცესების ხარისხის განვითარებაზე.

1. რამდენად იცნობთ ჩვენი კოლეჯის მისიას?

კარგად	საშუალოდ	ცუდად	საერთოდ არ ვიცნობ
10 (100 %)			

2. თქვენი აზრით, რამდენად პასუხობს ჩვენი კოლეჯის საქმიანობა მის მიერ გამოცხადებულ მისიას?

სავსებით პასუხობს	მეტნაკლებად პასუხობს	არ პასუხობს	მიჭირს პასუხი
10 (100 %)			

3. რამდენად იცნობთ ჩვენი კოლეჯის ხედვასა და ღირებულებებს?

კარგად	საშუალოდ	ცუდად	საერთოდ არ ვიცნობ
10 (100 %)			

4. ჩამოთვლილთაგან, რა გზებით მიიღეთ ინფორმაცია ჩვენი მისიის, ხედვისა და ღირებულების შესახებ?

ღია კარის დღეებიდან და სხვა გაფართოებული ღონისძიებებიდან	6 (60%)
კოლეჯის ვებგვერდიდან	3 (30%)
კატალოგიდან	
სტრატეგიული განვითარების გეგმიდან/გეგმაზე მუშაობის პროცესში	
მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან კომუნიკაციისას	1 (10%)
არცერთი წყაროდან არ მიმიღია ინფორმაცია	
სხვა:	

5. რამდენად იყავით ჩართული ჩვენი კოლეჯის მისიის, ხედვის ან/და ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში?

აქტიურად ვიყავი ჩართული	მეტნაკლებად ვიყავი ჩართული	არ ვყოფილვარ ჩართული	მიჭირს პასუხი
7 (70%)	3 (30%)		

6. რამდენად იყავით ჩართული ჩვენი კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა ან/და შეფასების პროცესში?

აქტიურად ვიყავი ჩართული	მეტნაკლებად ვიყავი ჩართული	არ ვყოფილვარ ჩართული	მიჭირს პასუხი
7 (70%)	3 (30%)		

7. კოლეჯის ძლიერ მხარედ/მხარეებად მიმაჩნია (შეგიძლიათ რამდენიმე პასუხის მონიშვნა)

ადამიანური რესურსი (ადმინისტრაციული)	პროგრამების განმახორციელებელი პირები	მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	ანაზღაურების სისტემა	წახალისების სისტემა
10 (100 %)	10 (100 %)	9 (90%)	8 (80%)	4 (40%)

8. ვიცნობ ჩემი სამუშაო პოზიციის თანამდებობრივ ინსტრუქციას

სრულიად ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
10 (100 %)			

9. ვასრულებ ყველა იმ ფუნქცია-მოვალეობას, რაც ჩემი პოზიციის შესაბამის თანამდებობრივ ინსტრუქციაშია გაწერილი?

სრულიად ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
10 (100 %)			

10. ჩემი სამუშაო ადგილი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და კომპიტერული ტექნიკით

სრულიად ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
10 (100 %)			

11. კოლეჯის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციებს ვეცნობი

ყოველდღე	კვირაში რამდენჯერმე	კვირაში ერთხელ	თვეში რამდენჯერმე	არ ვეცნობი
6 (60%)		2 (20%)	2 (20%)	

12. ვიცნობ კოლეჯის შინაგანაწესს

სრულიად ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
10 (100 %)			

13. კოლეჯის სტრუქტურული ერთეულები ეფექტურად და კოორდინირებულად ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს

სრულიად ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები

10 (100 %)			

14. კოლეჯის ხელმძღვანელობის მხრიდან ხდება მყისიერი რეაგირება თანამშრომლების ახალ ინიციატივებზე

სრულიად ვეთანხმები	მეტ-ნაკლებად ვეთანხმები	არ ვეთანხმები
10 (100 %)		

15. რა შედეგით დასრულდა, კოლეჯის ხელმძღვანელებისთვის, თქვენ მიერ ბოლოს შეთავაზებული ინიციატივა

დადებითად	უაყოფითად
10 (100 %)	

16. ვიცნობ კოლეჯში არსებულ პერსონალის წახალისების მექანიზმებს

სრულიად ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
8 (80%)	2 (20%)		

17. კოლეჯს აქვს პერსონალის წახალისების სამართლიანი და გამჭვირვალე მიდგომა

სრულიად ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
10 (100 %)			

18. კმაყოფილი ვარ ანაზღაურებით

ძალზედ უკმაყოფილო	უკმაყოფილო	მეტ-ნაკლებად კმაყოფილი	კმაყოფილი
		1 (10%)	9 (90%)

19. კოლეჯი ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე

სრულიად ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
10 (100 %)			

20. ვმონაწილეობ თნამშრომელთა მუშაობის ეფექტიანობის გაზრდისათვის ორგანიზებულ სხვადასხვა ტრენინგებში

სრულიად ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
10 (100 %)	

21. სამსახურეობრივი საქმინობის უკეთ წარმართვის მიზნით, საჭიროდ მიმაჩნია დამატებით ტრეინინგების /კონსულტაციების ჩატარება

სრულიად ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
9 (90%)	1 (10%)		

22. რა სახის ტრენინგის გავლას ისურვებდით თქვენი პროფესიული განვითარებისთვის (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)

კომპიუტერული უნარჩვევები	.პროცესების მართვის მენეჯმენტი	.ემოციების მართვა დაწესებულების კულტურის შესახებ
8 (80%)	3 (30%)	

23. ვიცნობთ კოლეჯში დადგენილ უსაფრთხოების წესებს?

სრულიად ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
10 (100 %)			

24. კოლეჯში, სანიტარულ კვანძები აღჭურვილია შესაბამისი რესურსით და დაცულია სისუფთავე (მათ შორის, დაცულია კოვიდრეგულაციები)

სრულიად ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
10 (100 %)			

25. კოლეჯში არსებობს დაცვის სამსახური, რომლის თანამშრომლები ეფექტურად უზრუნველყოფენ შენობაში და შენობის გარე პერიმეტრზე წესრიგის და უსაფრთხოების დაცვას

სრულიად ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
10 (100 %)			

26. ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა თვალსაჩინო ადგილასაა განთავსებული

სრულიად ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
10 (100 %)			

27. სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია პირველადი დახმარებისათვის ყველა საჭირო რესურსით და მედიკამენტით

სრულიად ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
10 (100 %)			

28. თქვენი წინადადებები კოლეჯის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის

1. კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით ტრენინგების ჩატარება;
2. კომპიუტერული სწავლების გაძლიერება;
3. ვებ-ტექნოლოგიების მიმართულებით ტრენინგების ჩატარება;
4. კომპიუტერული უნარ-ჩვევების გაძლიერება, მეილისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება;
5. ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით ჩატარებული ტრენინგები;
6. კომპიუტერული სწავლების გაძლიერება;
7. კომპიუტერული კურსების გაძლიერება;

8. კარგი იქნებოდა კომპიუტერული უნარ-ჩვევების გაძლიერების მიზნით ჩატარდეს ტრენინგები;
9. პროფესიული საქმიანობის მიმართულებით მენეჯმენტის გაძლიერება;
10. შიდა ტრენინგები უფრო ხშირად ტარდებოდეს